რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 19 მარტი 1917 წ 9

ერთობა

„თანამედროვე აზრის გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ.; ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ორი საათის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 5 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი რევოლუცია.

საბრძოლო ლოზუნგები

მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში!

გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლიუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში!

მიესალმეთ პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელიც უმთავრესი ბურჯია რევოლიუციის და საუკეთესო დარაჯი დემოკრატიის ინტერესების. მიესალმეთ აგრეთვე ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაც.

აცნობეთ მთავრობას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ:

1. გამოიცვალოს ძველი რეჟიმის მთელი ადმინისტრაცია და ის გაგზავნილ იქმნას ფრონტზე.
2. განხორციელდეს სრული თავისუფლება კრების, სიტყვის, კავშირების და ორგანიზაციების.
3. დამყარდეს ეროვნებათა თანასწორობა.
4. დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლათ და ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა.

დაიცავით ყოველგან ქალაქებში და სოფლებში სრული წესიერება, შეებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობას და კერძო საკუთრების მითვისებას.

მხოლოდ საერთო ძალღონით და მწყობრი მოქმედებით ყველა ოპოზიციურ და დემოკრატიულ კლასებისა განმტკიცდება დაწყებული დიადი რევოლიუცია.

საჭიროა ქალაქებში დაარსდეს მუშათა დეპუტატების საბჭო და მოქალაქეთა აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც მიზნათ დაისახვენ რეაქციის საბოლოო დატუქსვას და წესიერების დაცვას.

სოფლათ უნდა მოეწყოს გლეხთა სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საბჭოები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტები.

მუშათა დეპუტატების

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოთავსებულია ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

საორგანიზაციო კომიტეტი

შემდგარი რევოლიუციის მსხვერპლთა მოსაგონებელ დღის მოსაწყობათ სთხოვს მუშათა ორგანიზაციებს, მოსამსახურეებს და სხვადასხვა საზოგადოებებს და კავშირებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში—გვაცნობონ ორშაბათს, 20 მარტისათვის შემდეგი: რამდენი კაცი მიიღებს მონაწილეობას და ვინ იქნება მათი წარმომადგენელი. ცნობები გამოგზავნეთ საორგანიზაციო ბიუროში ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში მუშათა დეპუტატების საბჭოში.

დამოუკიდებელი პოლონეთი.

დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ მეტათ საყურადღებო ნაბიჯი გადადგა. ჩვენ სახეში გვაქვს პოლონელთადმი მიმართვა.

ძველი რუსეთი ყველა არარუსთ სასტიკათ სდევნიდა. მსოფლიო ომმა პოლონეთის საკითხი წამოაყენა. პოლონელთა განთავისუფლება მორიგი საქმე შეიქნა. ვინ უნდა იკისროს მისი განხორციელება?

რასაკვირველია არა მონარქიულ [illegible]ციით თავისუფლება რომელიმე დამონებულ ერს, ეს სხვა ერთა ამოძრავებასაც გამოიწვევდა. ამიტომაც იყო ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს გვერდი აუხვიეს და ისევ ძველ პოლიტიკას აწარმოებდენ. ამით ისარგებლა გერმანიის მთავრობამ და პოლონეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

დიდმა რევოლიუციამ დაამხო ტახტი, დასცა რომანოვების დინასტია და რუსეთს თავისუფლება მიანიჭა. განთავისუფლებულ ქვეყანაში დამორჩილებულ ერთა ჩაგვრას ბოლო უნდა მოეღოს. ფინლიანდიის ავტონომია უკვე აღადგინეს და პოლონეთის საკითხის გადაჭრას შეუდგენ. დროებითმა მთავრობამ მოწოდება გამოსცა, რომელშიც პოლონეთის ერს დამოუკიდებლობასა და სრულ გაერთიანებას პირდება. ყველა ის კუთხე, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას პოლონელები შეადგენენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს ფარგლებში შედის, შემდეგ პოლონეთის მთავარ ქალაქში მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით, რომელიც გამოიმუშავებს სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმას და განამტკიცებს თავისუფლებას. რუსეთთან დამოუკიდებელ პოლონეთს მხოლოდ ნებაყოფლობითი სამხედრო კავშირი ექნება.

რევოლიუციამ ძირ-ბუდიანათ შეარყია რუსეთის შინაური ცხოვრება და დიდი გავლენა მოახდინა ევროპაზედაც. უეჭველია ახალი რევოლიუციების ხანა იწყება. ამჟამად საგარეო პოლიტიკაც იცვლება. გერმანიის ჰეგემონიას ევროპაში, რაც ნათლათ დაამტკიცა მსოფლიო ომმა—ბოლო ეღება. დღემდის პოლონელები გერმანელთ თანაუგრძნობდენ. სხვანაირათ არც შეიძლებოდა. გერმანია მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას შეპირდა, თუნდაც მხოლოდ რუსეთის ათი გუბერნიის საზღვრებში. ამ თანაგრძნობას რუსეთის რევოლიუციამ ნიადაგი გამოაცალა. მოკავშირეთა წინადადება პოლონელთათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია. ეს მათ უქადის სრულ გაერთიანებას, აგრეთვე დემოკრატიის გაბატონებას. მართლაც გერმანია პოლონეთს ტახტის აღდგენას პირდება. ახალ სახელმწიფოს სათავეში მეფეს წამოსკუპებენ, რომელიც უეჭველია რეაქციის განმტკიცებას შეეცდება. რუსეთის რევოლიუცია პოლონეთსაც დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებას უქადის. ქვეყნის სვებედი დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას.

დღემდის ერთა ბედს თავის გემოზე იმპერიალისტები ატრიალებდენ. რუსეთის დემოკრატიის ამოძრავებით დიპლომატიური საკითხების გადაჭრაც ამა თუ იმ სახით დემოკრატიის ხელში გადადის. ევროპის ძველი ურთიერთობა ირყევა. საერთაშორისო ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

რვა საათის სამუშაო დღე.

რევოლიუცია ღრმავდება. თანდათან ცხადი ხდება ყველასათვის, რომ რუსეთის რევოლიუციის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა,—მისი სულის ჩამდგმელი არის არა დროებითი მთავრობა—არამედ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ამჟამათ ის არის რევოლიუციის ცენტრი, ის არის მისი მესაჭე. ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატის და მხედრობის [illegible] მხოლოდ პეტროგრადის მუშათა დ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოა. ამ დიდ ნგრევა-შენების ხანაში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ საჭიროთ და შესაძლებლათ დაინახა წამოეყენებია ჩვენი პროგრამის უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი: 8 საათის სამუშაო დღე. მაგრამ ის მარტო საკითხის წამოყენებით როდი დაკმაყოფილდა, არამედ კიდევაც გადაჭრა დადებით და მოსთხოვა დროებითი მთავრობას დაედასტურებია ეს გადაწყვეტილება. კაპიტალის წარმომადგენელნი იძულებულნი გახდნენ ძლიერ პოლიტიკურ ძალას დამორჩილებოდნენ და ერთი უმთავრესი ეკონომიური პოზიცია უბრძოლველათ დაეთმოთ პროლეტარიატისათვის. ამ ორი კვირის წინ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდიოდა, რომ ასე მალე განვთავისუფლდებოდით აუტანელ მეფის და მისი დამქაშების ბატონობიდან. ამ გვარადვე ძნელი წარმოსადგენი იყო 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება. მაგრამ დღეს ერთიც და მეორეც სინამდვილეა. ერთიც და მეორეც განხორციელდა რევოლიუციონური ხალხის მოთხოვნით. რვა საათის სამუშაო დღე მინისტრის ბრძანებით შემოღებულია ყველა რკინის გზებზე. ასე რომ მალე მთელ რუსეთში ეს გამარჯვება ფაქტიურათ ყველგან დაკანონდება. საჭიროა ეს გამარჯვება საბოლოოთ დამფუძნებელმა კრებამ დააკანონოს. ჩვენ გვწამს, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი ამასაც მიაღწევს. ხოლო საჭიროა შეკავშირებული მოქმედება და არა ცალცალკე გამოსვლა. უნდა თავი მოვიყაროთ უმთავრეს ცენტრის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ირგვლივ და ისე გავატაროთ ცხოვრებაში ჩვენი საარსებო მოთხოვნები. ყველა აღებულ პოზიციის გამაგრება და შენარჩუნება ეს ჭირობა. ჩვენც უნდა ვეცადოთ მოპოვებული უფლებები ხელიდან არ გავუშვათ. ამიტომ მუშებმა ეხლა უნდა გამოიჩინონ თავისი საორგანიზაციო ძალა. მტკიცე ორგანიზაცია და შეთანხმებული მოქმედება უეჭველი თავდებია სრული გამარჯვების. ამხანაგ მუშებს ვულოცავთ ამ დიდ ახალ გამარჯვებას.

ლიტვის სამეფო.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ პრუსიის მართველ წრეებზე დიდი გავლენა მოახდინა. პანგერმანისტები განახლებულ რუსეთის შიშმა შეიპყრო და ისინი ერთხელ და სამუდამოთ ძველ ლოზუნგს—„დიდი გერმანია ვოლგამდის“—უნდა გამოეთხოვნენ. რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მათ იმპერიალისტურ პოლიტიკას ფრთებს აკვეცს.

მდგომარეობა არსებითათ შეიცვალა. ამ ორმოცი წლის წინეთ კარლ მარქსი გერმანიის დემოკრატიის გამარჯვების წყალობით რუსეთის მრავალტანჯულ და პოლიტიკურ უფლება აყრილ ერებს თავისუფლების მოპოვებას აუწყობდა. ეხლა მდგომარეობა უკუღმა მოტრიალდა: გერმანიისა დ რუსეთის დემოკრატიის როლი შეიცვალა. ახლა განთავისუფლების სხივი მსოფლიოს რუსეთისაგან ეფინება. ასეთ დროს გერმანიის დემოკრატია ეჭვს გარეშე ხმას იმაღლებს, თავის მთავრობას ემუქრება და იგი ამ ჟამათ მას აქტიურ წინააღმდეგობას უწევს. თვით გავლენიანი ბურჟუაზიული და ნახევრათ ოფიციალური ორგანო „ბერლინერ ტაგებლატი“ მთავრობას კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებს, მას რუსეთის რევოლიუციაზე უთითებს და რჩევას აძლევს, რომ მათ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელი აიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუციის აჩრდილით ემუქრება.

ასეთ პირობებში გერმანიის იმპერიალისტები იძულებული შეიქნენ ლიტვის სამეფოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებიათ. მარა ეს პირველი ნაბიჯია. გერმანიის ნახევრათ აბსოლიუტური მთავრობა ხალხის ყურადღებას კვლავ საგარეო კითხვებისაკენ მიაქცევს, მარა ამაოთ. ეჭვს გარეშეა, გერმანიის დემოკრატია ახლო მომავალში გაბედულ ნაბიჯს გადადგამს და ვილჰელმებს აშკარათ ბრძოლას გამოუცხადებს. რუსეთის რევოლიუცია გერმანიის ძველ წეს-წყობილებასაც ნიადაგს აცლის.

პრესა.

რევოლიუციის ხანაში საკვირველი არაფერია. მაგრამ ის, რასაც დღეს ქართველ ფედერალისტების ქუთათურ გაზ. „მეგობარში“ ვკითხულობთ, ყოველ საკვირველებას აღემატება.

გამოჩენილი ბელადი საქართველოისა და მთელი რუსეთის ხალხისა—ნოე ჟორდანია ამ გაზეთში მაბეზღრათ არის გამოცხადებული.

რა მოხდა? რათ დაიმსახურა ასეთი საშინელი სახელი იმ ნოე ჟორდანიამ, რომელსაც მთელი ოცდა ათი წლის განმავლობაში დღევანდელი თავისუფლება უბით უტარებია, რომელმაც თავის ნიჭით და პირადის მაგალითით აღზარდა ამ თავისუფლებისათვის მებრძოლთა რამდენიმე თაობა.

ვინ აკადრა ასეთი საზიზღარი სახელი იმ ნოე ჟორდანიას, რომელიც დღევანდელი თავისუფალი რუსეთის საუკეთესო წინამძღოლათ არის ცნობილი, როგორც ჩვენში ისე სხვაგანაც.

დღეს, როცა ნოე ჟორდანიასა და მის მოწაფეთა იდეალები განხორციელდა, როცა მათი ოფლითა და სისხლით გაპოხიერებულმა მიწამ მათი დათესილი ყანა აახწყინა და აახიბინა, როცა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმები მადლობით იხრიან ქედს, როგორც პროლეტარიატის ისე ქართველი ხალხის სიამაყე ნოე ჟორდანიას წინაშე, ფედერალისტები, ეს ქართველი ხუცებისა და მებატონეთა პარტია, ბედავს ვერაგულათ შეახოს ხელი ამ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ერთერთ უდიდეს მასწავლებელს. აი ეს უმაგალითო ნაბიჯი ქართველ ფედერალისტებისა, „მეგობარში“ მოთავსებული საზიზღარი წერილი:

„დასელები საზიზღარი საშვალებით გვებრძვიან: მაბეზღრობითა და ცილისწამებით!

ქართველო ხალხო! შენ უკვე წაიკითხე თფილისის მუშათა საბჭოს საიდუმლო, აწ უკვე გამოქვეყნებული, დაბეზღების დეპეში ახალი მთავრობის მიმართ, რომლის ძალითაც კიტა აბაშიძე კავკასიის კომისარიატიდან გადააყენეს.

დაბეზღებას ხელს აწერს, ქართველო ხალხო, შენი უგვანი და უღირსი შვილი, ცნობილი ნოე ჟორდანია!

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ნოე ჟორდანიას და თუ შენ, ქართველო ხალხო, დღემდი ვერ იცნობდი მას, დღეს მაინც მოვალე ხარ იცნობდე: ნოე ჟორდანიამ მაბეზღრობის როლი იკისრა! „პროლეტარიატის დამცველი“ მაბეზღრობას ეწევა!

დაბეზღების დეპეში ორით ადგილით იქცევს ყურადღებას: იქ ნათქვამია, კომისარიატში იმისთანა წვრილ ურევია (მათ შო-

მა გადაიხადა პარაკლისი რევოლიუციისათვის თავდადებულთა მოსახსენებლად; აღსანიშნავია ის, რომ ადგილობრივმა კაზაკებმაც შეასრულეს რევოლიუციონური ჰიმნი. შემდეგ კი წითელ დროშით და ზედ წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს“ და გაიარეს. როცა ჯარმა დაიკავა თავისი ალაგი, ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა დღევანდელ მომენტზე და მოუწოდებდნენ ხალხს სამოქმედოთ. იქვე აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი.

კომიტეტში შედიან შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ კ. ა. კრესტნიკოვი. ამხანაგათ ნ. ნ. პეჩკინი და დ. გ. დუბროვიჩი. საქმის მწარმოებლად ი. ა. მარილოვცევი. სალდათებისაგან გ. ი. რიჟკოვი. წევრებად: დ. ა. ვაშაკიძე, ა. ა. კუცევი, კაპიტანი ჟელეზოვი, ა. ა. მოსელოვი, ვ. სირომოლოტოვი, ვ. ი. დენისოვი, ს. ა. შანშიევი. სტუდენტი ოგანოვი. სალდათებიდგან ვ. ხ. სოკოლიანსკი, ა. ი. ბელოკონი, ნ. ფ. ლაზარევი, ი. ბილინინი, ხარიშაევი და ერმაკოვი. სულ ცხრამეტი კაცი. ერთი სიტყვით დიდი აღტაცებით შეეგება ხალხი მიტინგს.

კეთილი იყოს ეს ნაბიჯი. გაუმარჯოს ხალხს.

ვარლამი გუნია.

ფოთი. დღეს, 12 მარტს დღესასწაულია. ახლად მოპოებულ თავისუფლებას შესტრფიან და შეხარიან. ახალს წმინდა სისხლით გაპოხიერებულს და საუკეთესო შვილთა ძვლებით მოკირწყლულს წეს-წყობილებას ფიანდაზად ეგებიან და თუ დღემდე „ოხვრა იყო შვება უბედურისა“ დღეს ხალხს სწყურია შვება იყოს, შვება სიხარულისა, მართლაც არა ჩვეულებრივი ზეიმია. დილიდანვე არაჩვეულებრივი მოძრაობაა ქუჩებში, დიდი და პატარა, ქალი და კაცი წითელი ბანტებით მორთულა, არაჩვეულებრივი აღტყინება ემჩნევა ყველას. გულში ღრმად დაგროვილი ბოღმა-ნაღველი სიხარულის ცრემლებად იღვრება.

აი, კიდევ შეგროვილა ჯგუფი წითელი დროშით ხელში მუშათა დეპუტატების საბჭოსთან. ეს მანიფესტანტები მიეშურებიან იქ, სადაც მიტინგი უნდა მოხდეს. აი, წითელ დროშას—ემბლემას თავისუფლებისას შემოსდგომიან ადგილობრივი მუშათა მოძრაობის ვეტერანები და რევოლიუციონურ სიმღერებით ხალხთან ერთად მოდიან. ესენი ჩვენი ძველი მუშაკებია, რომელნიც არავითარ დაბრკოლებებს არ უშინდებოდენ და მედგრად, თავ-განწირვით, შეუპოვრად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. მტკიცედ ეჭირათ დროშა თავისუფლებისა და დღესაც, ამ სიხარულის ჟამს შეუდრეკლად უპყრავთ იგი. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღევანდელ მანიფესტაციაში სწორედ ის დროშა ფრიალებს, რომელიც მათის მეოხებით პირველად ფოთში 1904 წელს აფრიალდა. ეს დროშა—ამიერიდან ისტორიული—უმწიკვლოდ და შეუბღალავად შენახული. დღეს ამ მეთაურებს არაჩვეულებრივი სიამოვნება ეტყობათ სახეზე.

მანიფესტაცია გზა და გზა თანდათან იზრდება, მას უერთდება მეორე დროშაც და მწყობრად, სრულის წეს-რიგით, სიმღერის გუგუნით მიდის მიტინგის ადგილს.

აქ ახალ სობოროს მოედანზედ იშლება დიდებული სანახაობა. ჩამწკრივებული ჯარი წითელი დროშებით და ხიშტებზე წამოცმულ წითელ ბაირაღებით, უმრავლი ხალხი წითელ ლენტებით გულზე შესაფერისი წარწერებით, მოსწავლე ახალ-გაზდობა დროშებითა და ლენტებით. საუცხოო წესრიგი და თადარიგი, რომელსაც მუშათა საბჭოს წარმომადგენლები იცავდენ დროებით აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად—სწორედ იშვიათი სანახაობა იყო.

ხ—ონი.

ქ. ოზურგეთი. ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი დროებითი მთავრობისა ენერგიულად განაგრძობს მუშაობას. მთელს მაზრაში შესანიშნავი წესიერებაა; ხშირათ იმართება მშვიდობიანი მიტინგები;—ირჩევენ სასოფლო კომიტეტებს, რომლებსაც დამოკიდებულობა აქვს მთავარ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან. ხალხის აღფრთოვანება უმაღლეს წერტილს აღწევს, გულის ფანცქალით მოელიან გურულები თავის ღვიძლ შვილებს—პოლიტიკურ-კატორღელთა და გადასახლებულებს.

10 მარტს ქ. ოზურგეთში გადახდილ იქნა დღესასწაული რევოლიუციის მსხვერპლთა მოსაგონებლად. მრავალ რიცხოვანი ხალხისა და ადგილობრივი გარნიზონის თითქმის მთელი შემადგენლობის თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომლის შემდეგ წარმოითქვა სიტყვები. გარნიზონის უფროსმა გენ. კოტელნიკოვმა მიულოცა ჯარს ახალი მთავრობა და უსურვა მრისხანე მტერზე გამარჯვება.—აქავე, ამ მრავალ რიცხოვან მიტინგზე მოყვანილ იქნა სისრულეში კომიტეტის დადგენილება რეაქციონერ ნ. თაყაიშვილის დატყვევების შესახებ, ის დაატყვევეს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა მ. საბაშვილმა, ნიკ. დოლიძე და ის. კვაჭანტირაძემ, გამოიყვანეს მოედანზე და ჯარისა და ხალხის წინაშე თავისავე ხელით აყრევინეს პაგონები და გაისტუმრეს ციხეში. პრაპ. დიმ. მგელაძე მეორე დღეს—11 მარტს მისით გამოცხადდა ციხის კარებთან და ითხოვა დატუსაღება, ციხის უფროსმა ის არ მიიღო, შემდეგ ის მოიყვანეს აღმასრულებელ კომიტეტში, საიდანაც ის მილიციონერთა თანხლებით გაისტუმრეს ციხეში.—იმავე დღეს დატყვევებულ იქნა გრიგოლ ჯაყელი; 12 მარტს—კი კომიტეტის წევრმა ვ. ღლონტმა დაატყვევა დეკან. დავ. ღუმბაძე. ხალხზე კარგათ იმოქმედა ამათ დატუსაღებამ;—ჯერ კიდევ ცხოვლათ არის მეხსიერებაში ის შავბნელი დღეები რეაქციისა, როდესაც ეს გმირები ხალხის ზურგზე მალაყებს გადადიოდენ.

აღმასრულებელ კომიტეტმა წესიერების დასაცავათ გამოსცა მოწოდებები მოქალაქეთადმი, რომლებშიაც მოუწოდებს მათ: არ იქნას დაშვებული არავითარი ძალადობა პიროვნებისა და კერძო საკუთრების მიმართ; სასტიკათ აკრძალულია შურისძიება და თვითნებობა, გასამართლება როგორც სამართლის წინაშე დამნაშავეთა, ისე ძველი მთავრობის მიმდევრებისა; აკრძალულია თრობა, აურზაური, თოფების სროლა და სხვ; უსასტიკესათ აკრძალულია სათრობი სასმელებით ვაჭრობა... დაუყოვნებლივ შეუდექით ყანის მუშაობას; გამოიტანეთ ბაზარზე პირველი მოთხოვნილების საგნები; დაისჯებიან სპეკულიანტები და სხვა... აკრძალულია თავის ნებით ტყეების გაკაფვა; აკრძალულია სასროლი იარაღის ტარება კომიტეტის ნება დაურთველათ. დაუყოვნებლივ საჭიროა ხვედრი სახელმწიფო და საერობო გადასახადების გადახდა და სხვა.

კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე, რომ შეღავათი მიეცეს ჯარში გასაწვევ კოოპერატივებში მოსამსახურეებს, რომლებსაც აწ უკვე ისტორიის წიაღში გადასრულილ ძველმა მთავრობამ მოუსპო შეღავათი.

კომიტეტმა დეპეშით აცნობა თფილისის, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტებს თავისი მოქმედების შესახებ. უკანასკნელის თავმჯდომარეს—ჩიქოვანს დაუწუნა მოქმედება, რადგან ის თითქმის არავითარ ზომებს არ ხმარობს, გააბას კავშირი ქუთაისისა და სამაზრო კომიტეტებს შორის. დეპეშით აცნობა თავისი მოქმედების შესახებ აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა საჭირო კრედიტი საქმეების საწარმოებლათ.—ოზურგეთის კომიტეტი ხშირათ თფილისის კომიტეტისაგან ღებულობს საჭირო ცნობებს.

— კვირას, 12 მარტს, გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი სად. ნატანებში. დაესწრო ადგილობრივი ნაწილის ჯარის კაცებიც. მიტინგი გახსნა ლიზა ბოლქვაძისამ. პირველად ილაპარაკა აპ. წულაძემ. შემდეგ ჯარისკაცმა. ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატმა მ. საბაშვილმა დიდ ხანს ილაპარაკა და გაარკვია მომენტი. ილაპარაკეს ჯარისკაცებმაც. ტაშის გრიალი ხშირათ აჩერებდა ორატორებს. გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები და მისალმება ჩხეიძისა, როძიანკოს, მუშათა დეპუტატების საბჭოსა და კერენსკისადმი.—მიტინგი მშვიდობიანათ დაიშალა საღამოს 5 საათზე სასოფლო კომიტეტის არჩევის შემდეგ.

— 13 მარტს ნატანების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაატყვევა გრ. ქარცივაძე, ძველი მთავრობის ჯაშუში და ცხენის ქურდი; საღამოს ამავე კომიტეტმა დაატყვევა ყოფილი „ურიადნიკი“ საერობო დარაჯებისა სევერ. ქარცივაძე. ორთავე ესენ გადაცემული იქნა ოზურგეთის კომიტეტის განკარგულებაში, რომელმაც მოათავსა ადგილობრივ ციხეში სხვებთან ერთად.

— 13 მარტს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ალ. კალანდაძემ და მიხ. საბაშვილმა ინახულეს ციხეში დატუსაღებული მგელაძე, თაყაიშვილი, ჯაყელი და სხვები, რომელთაგან მოისმინეს თხოვნები და მოახდინეს განკარგულება, რომ მათ პატივდებითა და განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრას ციხის ადმინისტრაცია.

— სამშაბათს, 14 მარტს გაიმართა მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგი ს. შემოქმედში. ილაპარაკა ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა—დელეგატმა მ. საბაშვილმა და სხვებმა. გამოტანილი იქნა რეზოლიუციები დეპ. ჩხეიძის, როძიანკოს და მუშათა დეპუტატების საბჭოსადმი მისალმებისა და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სახის შესადგენათ და ომისა და ზავის კითხვის გადასაჭრელათ. მიტინგმა აირჩია სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც იცავს წესიერებას.

ხუხეინ.

ცნობები
ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი შალვა ბესარიონის ძე მანგალაძე, ს. გუბის მცხოვრები, მსახურებდა მომ. ჯარში 20 კავკ. მსროლელ პოლკში 16 როტაში. ექვსი თვეა, რაც მის შესახებ არაფერი ისმის. ყველას ვსთხოვ, ვინც რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: ბათუმი: რკინის გზის დეპო დავით ბესარიონის ძე მანგალაძე.

— ნესტორ ერმილეს ძე გაბეჩავა მსახურებდა მეხუთე ქვეითა პოგრანიჩნი პოლკში მეთორმეტე როტაში. დიდი ხანია მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ბაქო, 279 запасный пѣхотный полкъ 6 рота კოტე მიქელაძე.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გ. შ. მეგრაბიანი
შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირი ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible], —ტიპით. [illegible] სპეციალური [illegible] და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე [illegible], სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრასთენიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, მუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და ს 6—8 ღ. საათამდე

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე ტასია, შვილები [illegible] და ვალოდია; ძმები ალექსი, იაკინთე და სოლომონ: დები მართა და კესარია; რძალი პატკუ (ნინა); ძმის წულები ვენერა და ელეონორა (კუკნა) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

იაგორ გაბრიელის ძე გოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია 23 მარტს, დღითი ხუთშაბათს, მიქელ-გაბრიელის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე დილის ათ საათზე (გურია).

3—1

ეროვნული

კვირას, 19 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ძვირფას და დაუვიწყარ დედის

ნინო გირგოლის ასულის კანდაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ მეგობართ განსვენებულის გულდამწვარნი შვილები სერგო და ვანო იოსების ძენი კანდაშვილნი, ძმა გიორგი გრიგორის ძე და რძალი მარიამ პავლეს ასული კტიაშვილნი, წირვა დაიწყება 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი.

კვირას, 19 მარტს, დილის 12 საათზე შესაგოს სახელოსნოში დანიშნულია ადელხანოვის მუშათა კოოპერატივის

წლიური საზოგადო კრება,

რომელიც განიხილავს შემდეგ კითხვებს: 1) გამგეობის მოხსენება, აღნიშნული საზოგადოების მდგომარეობაზე. 2) მოხსნება, რევიზიონი კომისიის წევრებისა, ანგარიშების გამონჯვის საქმის ვითარებაზე. 3) 1916 წლის ანგარიშის დამტკიცება. 4) რა რიგათ უნდა გაიყიდოს საქონელი? (ნისიათ თუ ნაღდათ). 5) 1916 წლის მოგების გაწესრიგება. 6) განხილვა 1917 წლის გასავლის აღნუსხვისა. 7) არჩევნები გამგეობის კომისიის წევრებისა და მათი მოადგილეებისა. 8) არჩევნები სარევიზიო კომისიის და მათი მოადგილეებისა. 9) ინსტრუქციის დამტკიცება გამგეობისათვის. 10) მიმდინარე საქმეები.

გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს ყველა ამ საზოგადოების წევრებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას, უკეთუ ეს კრება არ შესდგა კანონიერი წევრების რიცხვით, შემდეგი კრება იქნება 27 მარტს, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება.

თფილისის კომისარიატის აღმასრულებელ კომიტეტის
განცხადება.

ამით ეუწყება ყველას, რომ ამა წლის მარტის 14-დან თფილისის გუბერნიის მართვა-გამგეობის საქმე იკისრა თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა. ამიტომ ყველა საქმისა და ცნობებისათვის უნდა მიმართოთ გუბერნატორის კანცელარიაში და საგუბერნიო მმართველობაში. გუბერნატორისა და ვიცე-გუბერნატორის თანამდებობა გადავიდა კომისარიატის—ა. ი. ხატისოვის, ნ. ნ. ჟორდანიას და დ. მ. პოპოვის ხელში.

3—3

აღმასრულებელ კომიტეტისაგან
გაზეთები ფრონტისათვის.

ბრძოლის პირიდან ყოველდღე მოგვდის წერილები და გვთხოვენ გაზეთებს. მივმართავთ მცხოვრებთ თხოვნით: ყველა წაკითხული გაზეთი ყველა ენაზე უნდა მიიტანოთ მახლობელ საპოლიციო ნაწილში ან ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში, ან ქალაქის გამგეობაში. აქედან გაზეთები კომიტეტის განკარგულებით კავკასიის ფრონტზე გაიგზავნება.

(3—3) კომისარები: **ა. ხატისოვი, ნ. ჟორდანია, დ. პოპოვი.**

თფილისის სამეურნეო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ წლიური მორიგი კრება სამეურნეო ბანკის წევრთა, ნაცვლად 10 მარტს დანიშნულის კრებისა, რომელიც არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, დაინიშნა კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზე ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა).

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი წლიურ ანგარიშისათვის, 2. მოხსენება საბჭოსი თვის მოქმედებისათვის, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4. ანგარიში 1916 წლისა, 5. მოხსენება წესდების § 4 და § 17—2, 3, 4, და 5 მუხლის შეცვლისათვის და 6. არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, რომელსაც ვადა გაუვიდა, საბჭოს დეპუტატებისა ნაცვლად ი. ვას. მაჩაბელისა, რომელსაც აგრეთვე ვადა გაუვიდა და გარდაცვალებულ ა. ო. ყიფშიძისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

(3—1)

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა, (იგივე ქუთ. გუბ. სახ. მასწ. დამხმარე საზოგადოების გამგეობა) ამით აცხადებს, რომ 26 მარტს, დილის 12 საათზე, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მასწავლებელთა

საზოგადო კრება

გამგეობა მოუწოდებს მასწავლებელთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას და მიიღონ მონაწილეობა სადღეისო კითხვების გადაწყვეტაში.

2—1 **კავშირის გამგეობა.**

ქუთაისის მაზრის სოფელ კულაშში სამიწადმოქმედო დეპარტამენტის

საცდელი მინდორი.

აუწყებს მეურ. შემდეგს:

სიტყვიერად და წერილობით იძლევა პასუხს ყოველნაირ სამეურნეო შეკითხვაზე; მსურველთათვის იწერს თესლეულობას და საუმჯობესო მანქანებს; ახლო მეურნეთ სანათხოვროდ აძლევს ხვადასხვა იარაღს, შორეულთ-კი აჩვენებს მათ მუშაობას, ხმარებას; მისი დათვალიერება შეიძლება ყოველ-დღე; მუშაობის გასაცნობად საჭიროა ხელ-მძღვანელი და ამიტომ მსურველთ ვსთხოვ აუცილებლად მიმართონ ხოლმე მმართველს. საცდელ მინდორში შესვლა შეიძლება მხოლოდ ეზოდან. **მისამართი:** Самтреди. Опытное поле.

საცდელი მინდვრის მმართველი **გ. ჯაფარიძე.**

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში
ბარიატინის ქ № 5, ალექსანდროვის ბაღი იყიდება საუკეთესო, ჰავას შეგუებული
აბრეშუმის ჭიის თესლი
ცნობილი სისაღით. ყვითელი ფრანგული. კონტროლი გაკეთებული აქვს კავკ. საბრეშუმო სადგურში. ფირმა
დ. დ. დეკანოზიშვილისა.
100 მისხალზე მეტის მსურველმა უნდა მიმართოს საკუთარ ბინაზე (ოლგინსკაია № 26).

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, გ.-განათლების კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველებს ფული გამოგზავნისთანავე.
მიიღება ხელის მოწერა აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებზე: „[illegible]“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „[illegible]“, „ორიზონი“, „პაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.
გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

გულდამწვარი მეუღლე ალათი სტეფანეს ასული თავის ობლად დარჩენილ სამი პაწია შვილებით, დედა, ძმა კიმოთე და ასლანი თავის მეუღლით, ცოლის ძმა ზაქარა ბიჭაშვილი მეუღლით, ქვისლი ლადო აგლაძე მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს

ნესტორ ივანეს ძე ტოროშელიძის

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 18 მარტს მიცვალებულის სახლში 4 საათზე, საღამოთი. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 მარტს, წირვის შემდეგ ნაძალადევის ეკლესიიდან გასვენებული იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2—1

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუხაძისა გაბაევის შესახვევი.